RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ალექსანდრე კვახაძე

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ჩრდილო კავკასიასა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022

რუსეთ-უკრაინის ომის პირველი დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ კონფლიქტში კავკასიის რეგიონი ფართოდ იყო წარმოდგენილი. როგორც რუსულ, ისე უკრაინულ მხარეს კავკასიელი მებრძოლები იბრძვიან. ომს დიდი გავლენა აქვს რეგიონის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. ჩვენ შევეცდებით აღვწეროთ ჩრდილოეთ კავკასიის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მკვიდრთა წვლილი ამ ომში და კონფლიქტის შესაძლო გრძელვადიანი გავლენები ამ რეგიონებზე.

ჩეჩნეთი

უკრაინის ომის დაწყების დღიდან კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობენ ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურ რამზან კადიროვთან დაკავშირებული ქვედანაყოფები. უკრაინაში დაფიქსირებულია ჩეჩნების შემდეგი დანაყოფები: ბატალიონი „იუგი“ (მეთაური: ჰუსეინ მეჟიდოვი), ბატალიონი „სევერი“ (მეთაური: მაგომედ თუშაევი) და ბატალიონი „აჰმატ-გროზნი“ (მეთაური: ანზორ ბისაევი). ეს ქვედანაყოფები რუსეთის ეროვნულ გვარდიას (როსგვარდია) ექვემდებარებიან. ისინი გამოიყენეს კიევის ჩრდილოეთით, უკრაინის ტერიტორიაზე კი მეზობელი ბელარუსიდან შევიდნენ, სხვა რუსულ რეგულარულ ნაწილებთან ერთად.[1] გარდა ამისა, მარიუპოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობენ ჯერჯერობით დაუდგენელი ჩეჩნური ქვედანაყოფები, რომელთაც რუსეთის დუმის დეპუტატი და კადიროვის გარემოცვის წევრი ადამ დელიმხანოვი ხელმძღვანელობს.[2] გარდა ამისა, ჩეჩნეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობს მოხალისეთა რეკრუტირებას, რისთვისაც არც ფინანსურ რესურსებს იშურებს. ჩეჩნური ოპოზიციური ტელეგრამ-არხების მიხედვით, თითო მოხალისეს, ანაზღაურების სახით, 300 ათას რუსულ რუბლს (დაახლ. 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი) სთავაზობენ. იმავე წყაროებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩეჩნეთში უკრაინაში წასვლას აიძულებენ სხვადასხვა არაძალოვანი საჯარო სამსახურის მოხელეებსაც.

კადიროველთა შორის დანაკარგების შესახებ ცნობები არაერთგვაროვანია. თავად კადიროვმა მხოლოდ 2 თანამებრძოლის დაღუპვა აღიარა.[3] უკრაინული წყაროები ათობით დაღუპულ კადიროველზე იუწყებიან.[4] ჩეჩნური ოპოზიციური ტელეგრამ-არხები კი 20-მდე დაღუპულის

---

[1] Kavkazkiy Uzel (2022). Чеченцы на Украине [ჩეჩნები უკრაინაში]. ხელმისაწვდომია: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/373650/

[2] Kavkazkiy Uzel (2022). Военные эксперты разъяснили цель поездки Делимханова на Украину [სამხედრო ექსპერტებმა დელიმხანოვის უკრაინაში ვიზიტის მიზნები განმარტეს]. ხელმისაწვდომია: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/374249/

[3] Kavkaz Realii (2022).Кадыров признал потери в Украине [კადიროვმა უკრაინაში დანაკარგი აღიარა]. ხელმისაწვდომია: https://www.kavkazr.com/a/kadyrov-priznal-poteri-v-ukraine/31730204.html

[4] კრეჩკო ი. (2022). Після втрат і «PR-війни»: «кадирівців» з України повернули в Чечню [დანაკარგისა და პიარ-ომის შემდეგ კადიროველები უკრაინიდან ჩეჩნეთში გაგზავნეს]. *Radio Svoboda*. ხელმისაწვდომია: https://www.radiosvoboda.org/a/kadyr%D1%96vtsiv-z-ukrayiny-povernuly-v-chechniu/31760938.html

შესახებ იძლევიან ცნობებს. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, კადიროველთა ყველაზე დიდი დანაკარგი გოსტომელის აეროპორტთან ბრძოლის შედეგად იყო.

კადიროველთა წვლილი საბრძოლო მოქმედებებში უმნიშვნელოა. მათ მიერ გავრცელებული ვიდეოებიდანაც ჩანს, რომ ისინი მეტწილად ფრონტის ხაზიდან მოშორებით იყვნენ განლაგებული. არაერთი რუსი სამხედრო მიმომხილველი აყენებს ეჭვქვეშ კადიროველთა ბრძოლისუნარიანობას. მაგალითად, დონეცკსა და ლუგანსკში სეპარატისტული პროექტის ერთ-ერთი ავტორი იგორ სტრელკოვი (გირკინი) უკმაყოფილებას არ მალავს კადიროველთა მომზადების დაბალი დონით და მათი გამოუსადეგრობით. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს დნრ-ის ბოევიკთა ერთ-ერთი დანაყოფის, „ვოსტოკის“, მეთაური ალექსანდრ ხოდაკოვსკი.[5] სავარაუდოდ, კადიროველთა უკრაინაში ყოფნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური დაშინებაა. იმის გათვალისწინებით, რომ კადიროველები მშვიდობიანი მოსახლეობის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში არაერთხელ იყვნენ გარეული, შესაძლოა თავდაპირველი ჩანაფიქრი ამ გზით უკრაინელ სამხედროებსა და სამოქალაქო პირებში პანიკის დათესვა იყო, თუმცა კადიროველთა ყოფნამ უკრაინაში ვერ იქონია გავლენა უკრაინელთა საბრძოლო სულისკვეთებაზე.

თავად კადიროვი ომში მონაწილეობას იმავენაირად ამართლებს, როგორც რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. კადიროვი მიიჩნევს, რომ მისი ძირითადი სამიზნე არა უკრაინელი ხალხი, არამედ „ბანდერელები“ და „ნეონაცისტური“ აზოვის ბატალიონის წევრები არიან.[6] მეტიც, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მუფტმა, სალაჰ მეჟიევმა, უკრაინის ომი ჯიჰადად გამოაცხადა, რაშიც, მისი აზრით, ყველა მუსლიმმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.[7] კადიროვი ხშირად ახსენებს აგრეთვე „შეითანებთან“ და „ტერორისტებთან“ ბრძოლას, რაშიც უკრაინის მხარეზე მებრძოლ ჩეჩნურ ჯგუფებს გულისხმობს.

ჩეჩნური ფორმირებები უკრაინის მხარესაც არიან. ამჟამად უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდამხარ ორი ჩეჩნური ბატალიონი იბრძვის: ჯოჰარ დუდაევის (მეთაური: ადამ ოსმაევი) და შეიხ მანსურის (მეთაური: მუსლიმ ჭებერლოელი). ეს ჯგუფები ევროპაში მცხოვრები

[5] Kavkazskiy Uzel (2022). Ходаковский раскритиковал чеченских бойцов за плохую подготовку [ხოდაკოვსკისმ ჩეჩენი მებრძოლები ცუდი მომზადების გამო გააკრიტიკა]. Available at: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/374269/

[6] იერმოლოვი მ. (2022). Кадыров объявил награду в $500 тысяч за голову командиров украинских националистов [კადიროვი უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერების მოკვლისთვის 500 ათას დოლარის ჯილდოს აწესებს]. *Gazeta.ru*. ხელმისაწვდომია: https://www.gazeta.ru/politics/news/2022/03/03/17375617.shtml

[7] Kavkaz Realii (2020). Муфтий Чечни назвал вторжение в Украину войной за пророка и ислам [ჩეჩნეთის მუფტმა უკრაინაში შეჭრა წინასწარმეტყველისთვის და ისლამისთვის ომს შეადარა]. ხელმისაწვდომია: https://www.kavkazr.com/a/muftiy-chechni-nazval-vtorzhenie-v-ukrainu-voynoy-za-proroka-i-islam/31727640.html

ჩეჩნებისგან შედგება და უკრაინაში ჯერ კიდევ 2014 წლის დონბასის კონფლიქტიდან მოყოლებული იმყოფებიან.[8]

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში უკრაინის კონფლიქტში მონაწილეობასთან დაკავშირებით განწყობები არაერთგვაროვანია. კადიროვის დავალებით, რესპუბლიკის მასშტაბით რუსეთის ჯარის მხარდასაჭერი არაერთი პომპეზური ღონისძიება გაიმართა, სადაც არასრულწლოვანებიც იყვნენ ჩართული. თუმცა, ტელეგრამ-არხებში გამოჟონილი ვიდეო და აუდიო მასალა ადასტურებს, რომ ხალხში არის უკმაყოფილება ჩეჩენი მამაკაცების მასობრივი რეკრუტირებითა და მათი საბრძოლო მოქმედებებში ჩართვით. ეს უკმაყოფილება მსხვერპლის ზრდასთან ერთად გაიზრდება.

დანარჩენი ჩრდილოეთი კავკასია

განსხვავებით კადიროველებისგან, სხვა ჩრდილოკავკასიელებს არ გააჩნიათ ეთნიკური პრინციპით დაკომპლექტებული თავიანთი ქვედანაყოფები. როგორც რუსეთის მოქალაქეები, ისინი მსახურობენ ან საკონტრაქტო, ან სავალდებულო ჯარში და გადანაწილებული არიან სხვადასხვა ქვედანაყოფში. ტელეგრამ-არხებზე ვრცელდება ინფორმაცია კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკის მკვიდრთა მსხვერპლის შესახებ. ინგუშეთიდან - 16, დაღესტნიდან - 44, ჩრდილოეთ ოსეთიდან - 32.

ამავდროულად, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში აქტიურად მიმდინარეობს მოხალისეთა რეკრუტირება უკრაინის ომში ჩასართავად. მაგალითად, რუსეთის დუმის დეპუტატმა ბორის კანტემიროვმა რესპუბლიკის მაცხოვრებლებს უკრაინაში მოხალისედ წასვლისკენ მოუწოდა.[9] ყოველივე ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ოსურ ტელეგრამ-არხებში. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლებები ჩართული არიან რუსული ჯარის მხარდამჭერ საინფორმაციო კამპანიაში. მაგალითად, ინგუშეთის რესპუბლიკის დედაქალაქ მაგასის ცენტრში მდებარე კოშკზე Z ასოს აღმნიშვნელი დიდი ბანერი გამოფინეს. მსგავსი აქცია გაიმართა ყაბარდო-ბალყარეთშიც.

ამავდროულად, სხვადასხვა რუსულ ქვედანაყოფებში იძაბება ურთიერთობა ეთნიკურ რუს და ჩრდილოკავკასიელ სამხედროებს შორის. სხვადასხვა ტელეგრამ-არხზე ვრცელდება ჩანაწერები, სადაც ჩრდილოკავკასიელები უარს ამბობენ ბრძანების შესრულებაზე, რადგან არ სურთ უკრაინაში „საზარბაზნე ხორცად“ წასვლა. ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების მოტივაცია საკმაოდ დაბალია, რისი მიზეზიცაა რუსული ჯარის დიდი დანაკარგები და „რუსული სამყაროს“ იდეოლოგიასთან ემოციური ბმის უქონლობა.

---

[8] Kavkazkiy Uzel (2022). Чеченцы на Украине [ჩეჩნები უკრაინაში]. ხელმისაწვდომია: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/373650/

[9] Argumenti.ru (2022). Борис Кантемиров призвал жителей Осетии влиться в ряды добровольцев и отправиться на Украину [ბორის კანტემიროვი ოსეთი მაცხოვრებლებს მოხალისეთა რიგებში ჩაწერისა და უკრაინაში გამგზავრებისკენ მოუწოდებს]. ხელმისაწვდომია: https://argumenti.ru/world/2022/03/764802

ცხინვალის რეგიონი

ცხინვალის რეგიონიდან უკრაინის მიმართულებით დიდი რაოდენობით რუსული ტექნიკა გავიდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალის სამხედრო ქალაქი რუსი სამხედროების ოჯახებმაც დატოვეს. ცხინვალის რეგიონიდან უკრაინაში მცირე რაოდენობით მოხალისეები გაემგზავრნენ.[10] თუმცა, ცხინვალელი ოსების დიდი ნაწილი რუსულ რეგულარულ ძალებთან ერთად გაემგზავრა. მას შემდეგ, რაც 2017 წელს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის დოკუმენტს მოეწერა ხელი, ცხინვალელი დე ფაქტო შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი დაიშალა და მათი პერსონალი რუსეთის 58-ე არმიის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდა. უკრაინის ომის დაწყებისთანავე, როგორც სხვა დანარჩენ რუსულ ძალებს, მათაც მოუწიათ გეგმურად უკრაინაში გადასროლა. გარდა ამისა, ცხინვალის რეგიონიდან მცირე რაოდენობით მოხალისეებიც არიან ჩართული.

დღევანდელი მდგომარეობით, უკრაინაში მხოლოდ ერთი ცხინვალელი დაიღუპა. იგი ცხინვალში დაკრძალეს.[11] ოსების უკრაინაში გადასროლას აპროტესტებს ცხინვალის ოპოზიცია, კერძოდ, ედუარდ კოკოითი და დავით სანაკოევი. ისინი მიიჩნევენ, რომ დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ფაქტობრივად დაშალა ე.წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები და რესპუბლიკაში წესრიგი მთლიანად რუსეთს გადააბარა, რის გამოც მან თავიდან ვერ აირიდა მცირერიცხოვანი ოსი ერის წარმომადგენელთა ინტენსიური გადასროლა ომში.[12]

აფხაზეთი

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება 2020 წელს არის ხელმოწერილი, აფხაზეთის დე ფაქტო რეგულარული ნაწილების გადასროლა ჯერ არ მომხდარა უკრაინაში. ინტერნეტში გავრცელებული ვიდეოების მიხედვით, გუდაუთის მე-7 სამხედრო ბაზის ტექნიკა სარკინიგზო გზით გადაისროლეს უკრაინის ტერიტორიაზე.[13] რუსეთ-უკრაინის ომში აფხაზი

---

[10] Ekho Kavkaza (2022). Россия отправила на войну в Украину югоосетинских контрактников [რუსეთმა უკრაინის ომში სამხრეთელი ოსი საკონტრაქტო მოსამსახურეები გაგზავნა]. ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/31755470.html

[12] კვახაძე ა. (2021). რუსეთისა და აფხაზეთის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მისი მნიშვნელობა აფხაზური საზოგადოებისა და ოფიციალური თბილისისთვის. ხელმისაწვდომია: https://www.gfsis.org.ge/ge/publications/view/2910

[12] კვახაძე ა. (2021). რუსეთისა და აფხაზეთის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მისი მნიშვნელობა აფხაზური საზოგადოებისა და ოფიციალური თბილისისთვის. ხელმისაწვდომია: https://www.gfsis.org.ge/ge/publications/view/2910

[13] The Washington Post (2022). Russia begins to mobilize military reinforcements for Ukraine as casualties mount, Pentagon says. [პენტაგონის მიხედვით, რუსეთი იწყებს უკრაინისთვის სამხედრო ძალების

მოხალისეების მცირე ჯგუფი მონაწილეობს. ამ ჯგუფს „პიატნაშკა“ ეწოდება და ახრა ავიძბა, მეტსახელად აფხაზი, ხელმძღვანელობს. იგი იბრძვის აღმოსავლეთ უკრაინაში, დონბასის ფრონტზე. ავიძბა მონაწილეობდა აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტში, დნრ-ის სეპარატისტთა რიგებში, 2014 წლიდან. გარდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აქტიურად არის ჩართული ოკუპირებული დონბასიდან დევნილთა მიღებაში.[14]

უკრაინის ომის შესაძლო გავლენა რეგიონზე

რუსეთის უკრაინაში შეჭრას კავკასიის რეგიონზე მნიშვნელოვანი გავლენა რამდენიმე მიმართულებით ექნება. პირველი, ომის შედეგისდა მიუხედავად, კავკასიის რეგიონში ათი ათასობით საბრძოლო გამოცდილებამიღებული ჯარისკაცი დაბრუნდება. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ჩეჩენთა სარდლობის დიდ ნაწილს ავღანეთის ომის გამოცდილება ჰქონდა, შესაძლებელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ვეტერანთა ნაწილმა კონფლიქტში მიღებული გამოცდილება რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს. მეორე, ნებისმიერი ფართომასშტაბიანი კონფლიქტისას წარმოიშობა აღურიცხავი იარაღის პრობლემა, რომელიც შავ ბაზარზე ხვდება. ამ შავი ბაზრით შესაძლოა ისარგებლონ მეამბოხე ჯგუფებმა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში განახლდეს პარტიზანული კერები. მესამე, ჩრდილოკავკასიელთა შორის დიდი დანაკარგები არ დარჩება ყურადღების გარეშე. განსხვავებით დანარჩენი რუსეთისგან, ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი მოსახლეობისთვის შეუძლებელია მოკლული ჯარისკაცის ცხედრის დამალვა. რეგიონში არსებული ტრადიციების მიხედვით, ნებისმიერ დაკრძალვას ასობით ადამიანი ესწრება და ადამიანის სიკვდილის ამბავი სწრაფად ვრცელდება. შესაბამისად, დიდი დანაკარგების გამო ჩრდილოკავკასიელთა შორის გაიზრდება იმის განცდა, რომ ისინი „სხვის ომს“ ეწირებიან და მათ ფედერალური ცენტრი საკუთარი უტოპიური მიზნებისთვის იყენებს. ეს კი კიდევ უფრო გააღრმავებს ჩრდილოეთ კავკასიასა და დანარჩენ რუსეთს შორის არსებულ ანტაგონიზმს. რაც შეეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, იქ ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგება, რადგან აფხაზებიც და ოსებიც მიიჩნევენ, რომ ისინი მცირე და გადაშენების პირას მყოფი ერები არიან და ახალგაზრდა მამაკაცების უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სიკვდილი მათ აუნაზღაურებელ დანაკარგად მიაჩნიათ. ამასთან, უკრაინის ომი აუცილებლად შეასუსტებს რამზან კადიროვის პოზიციებს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. რასაც ის ფაქტორიც შეუწყობს ხელს, რომ კადიროვის არცერთი ახლო ნათესავი არ იღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. მეხუთე, რუსეთში მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისი აისახება ჩრდილოეთ კავკასიაზეც და ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს დოტაციურ რეგიონებთან, რომლებიც რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული ტრანშების ხარჯზე არსებობს. რუბლის გაუფასურება და სხვა სახის ეკონომიკური პრობლემები მძიმედ

მობილიზაციას დანაკარგების გამო]. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/national-security/2022/03/25/russia-reinforcements-georgia-ukraine/

[14] Realist (2022). Ахра Авидзба: Мы должны обустроить Украину (ახრა ავიძბა: ჩვენ უკრაინა უნდა მოვაწესრიგოთ). ხელმისაწვდომია: https://realtribune.ru/ahra-avidzba-my-dolzhny-obustroit-ukrainu

იმოქმედებს ამ რეგიონების ეკონომიკაზე. საინტერესოა ფაქტიც, რომ ჩეჩნურმა ტელეგრამ-არხმა 1adat გამოაქვეყნა მასალა, სადაც კარგად ჩანს, რომ უკრაინის ომის მსვლელობისას კადიროვის ოჯახის წევრები უზარმაზარ სასახლეებს იშენებენ - ასეთი ამბები კი კიდევ უფრო ზრდის ხალხის უკმაყოფილებას.